განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

"ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია"

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი"

შეფასების თარიღ(ებ)ი
6 აპრილი -2 მაისი
დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
24 სექტემბერი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი"
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი 0906
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება #276; N29_13.12.2014

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ აკრედიტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2014 წელს (სხდომის ოქმი №29, 13.12.2014.), პროგრამა მოიცავს 120 ECTS, მისი ხანგრძლივობაა 2 წელი, ამზადებს კადრებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, სამაგისტრო პროგრამის მიზანია – მოამზადოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძ. #245; 3.04.2018 საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე - თავმჯდომარე, ია ფანცულაია - წევრი, სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედის" სამაგისტრო პროგრამის "ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, უკანასკნელს საფუძვლად დაედო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროგრამის მონიტორინგის განხორციელებაზე, **ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა და პროგრამის შეფასება მოხდა დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების გარეშე ცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით.**

ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებს და არც უკანასკნელთა CV-ები იყო განახლებული, ვერ დადგინდა, თუ რა სახის შრომითი ურთიერთობები ჰქონდა აღნიშნულ პერსონალს სასწავლო უნივერსიტეტთან. შესაბამისად, საჭირო გახდა დაწესებულებისთვის დამატებითი მასალების მოთხოვნა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა 16 აპრილს წერილით მიმართა-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს, სადაც ითხოვდა სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი“ მიერ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემის, ამასთანავე, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის დამატებით წარმოდგენას.

მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ დამატებითი მასალების მოწოდებისა (30 აპრილს), უკანასკნელი არ აღმოჩნდა საკმარისი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ურთიერთობების დასაზუსტებლად, ვინაიდან რიგ შემთხვევებში შეიცავს ურთიერთგამომრიცხველ ინფორმაციებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, სასწავლო კურსების სილაბუსები, პროგრამის განმახორციელებელი პირების განათლების დამადასტურებელი დიპლომები, CV-ები).

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამაგისტრო პროგრამა აკრედიტირებულია 2014 წელს, და დოკუმენტაციით პროგრამის განვითარების მკვეთრი დინამიკა დღევანდელ ეტაპამდე არ ჩანს. ამასთნავე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა სასწავლო უნივერსიტეტში

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მოქმედი მეთოდოლოგიის გაცნობისა და ამ უკანასკნელის გამოყენების შეფასების საშუალებას.

პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, სამაგისტრო პროგრამაში ფიქსირდება რიგი შეუსაბამობები აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც ართულებს სამაგისტრო პროგრამით წინასწარ განსაზღვრულ შედეგებზე გასვლას.

- **რეკომენდაციები**

პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სამაგისტრო პროგრამის გადახედვა და რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და სწავლის შედეგების ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების, სტუდენტებისათვის თანამედროვე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსის - ინგლისური ენა სწავლება პროგრამის მეორე სემესტრშიც, შინაარსის ლოგიკური ბმა გაცხადებულ შედეგთან: დარგობრივი სამეცნიერო ტექსტის წაკითხვა და გაგება, დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობიერება, ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობით კომუნიკაციის წარმართვა.
- პროგრამის მუშაობისათვის სხვადასხვა კომპონენტში საჭიროა თანამედროვე ლიტერატურის მოძიება, სფეროს სპეციფიკის შესაბამისად რელევანტური მეთოდების გამოყენება.
- პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად უნდა წაახალისოს სტუდენტების ინიციატივები, უნდა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მიერ მაგისტრების ჩართვა კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო პროექტებში, მითუმეტეს, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია არასდროს ყოფილა აქტიური სამეცნიერო კვლევის ობიექტი, შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებობს დაგროვილი საკვლევი მასალა. ამასთანავე, ხელი შეუწყოს მაგისტრებსა და კურსდამთავრებულებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ კონფერენციებში.
- საჭიროა სწავლის შედეგების შეფასება ხდებოდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ.
- პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აღწერილი სწავლის მეთოდებიდან, რაც საერთოა თითქმის ყველა კურსის სილაბუსის მიხედვით, ჩამონათვალში დარჩეს ის მეთოდები, რომლებსაც ჩართული აკადემიური პერსონალი რეალურად იყენებს სწავლებაში და თვლის რელევანტურად საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობის მიღწევის მიზნით პერსონალმა უნდა კარგად გაიაზროს შეფასების მეთოდები, რუბრიკები და შედეგების ანალიზზე დაკვირვებით გაუმჯობესოს შეფასების ფორმები.
- რეკომენდირებულია მაგისტრთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები შეირჩეს საგნის სპეციფიკის მიხედვით, დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები, რათა შეფასების წესი გახდეს გამჭვირვალე.
- პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის ჩატარება;
- აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობა;

- უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვების დროს საჭიროა რესპოდენტთა რელევანტური რაოდენობის ჩართულობა, მრავალფეროვანი შინაარსის კითხვარების გამოყენება შედეგების ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით;
- რეკომენდირებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით.

პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით საჭიროა დამსაქმებლების გამოკითხვა შრომის ბაზრის მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით.

- აუცილებელია აკადემიური პერსონალის დოკუმენტაციის განახლება და სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის თანხვედრაში მოყვანა.
- გაურკვეველია პერსონალის ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების გაფორმების ვადები (2015წ. 2018წ.) და ხანგრძლივობა (5 წლის ვადით, 6 წლის ვადით, 7 წლის ვადით).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება, მით უფრო როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები ჩართული არიან სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, არსებობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის შესაძლებლობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მაგისტრების პროექტებისა და ინიციატივების, წახალისება, კვლევით საქმიანობასა და პროექტებში ჩართვის ხელშეწყობა, ამასთანავე, სხვადასხვა გაცვლით პროექტში ან პროგრამაში, საქართველოს ფარგლებს გარეთ კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა, აღნიშნული ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალი-ფიციური კადრების მომზადებას.
- განვითარებაზე ზრუნვის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეების (სპორტის ფედერაციები, აღდგენითი მკურნალობის ცენტრები, საერთშორისო ორგანიზაციები) აქტიური ჩართვის გზით, გაზარდოს პროგრამის მდგრადობა. უცხოელ პარტნიორებთან ერთად განახორციელოს ერთობლივი კვლევები და პროექტები, იზრუნოს პროგრამაში უცხოელი სპეციალისტების ჩართვაზე, რითაც უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას.
- აკრედიტაციის ჯგუფის შეთავაზებაა, სასწავლო უნივერსიტეტმა სტრატეგიულ მიდგომად დაისახოს სპორტის ფედერაციებთან, აღდგენითი მკურნალობის ცენტრებთან თანამშრომლობა, რომელთა საქმიანობის შინაარსია პოპულაციის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და აღდგენითი მკურნალობა.
- სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილების გამოყენება კვლევით საქმიანობასა და პროექტებში მაგისტრების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარგობრივი კონფერენციების შესახებ ინფორმირმაციის მიწოდებითა და მონაწილეობის ხელშეწყობით, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, მიღებული აქვს სამეცნიერო გრანტები და არის საერთაშორისო ორგანიზაციების (ფიზიკური რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის სფეროში) წევრი, ასევე გახლავთ უმაღლესი კატეგორიის ტრენერი, ტრენინგ-მოდულების ავტორი და ტრენერი, სპორტის ექსპერტი, საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტთან არსებული საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი, 6 სახელმძღვანელოსა და 65 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

- სასურველი იქნება თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი დაეხმარება სტუდენტებს უფრო მეტი წვდომა ჰქონდეთ სხვადასხვა გაცვლით პროექტში ან პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესახებ.
- დაწესებულების მიერ აფილირების წესის, აფილირების ორმხრივი პირობებისა და ვალდებულებების განსაზღვრა, შემუშავება და დამტკიცება.
- სასურველი იქნება უსდ-ის მიერ სტუდენტთა სანდო, ობიექტური და სისტემატიური გამოკითხვების ჩატარება, სარწმუნო შედეგების მისაღწევად, ვინაიდან არსებული გამოკითხვების შედეგად თითქმის ყველა პერსონალი შეფასებულია მაქსიმალურად 100%–ით.
- პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულების მიერ 2016 წელს განათლების ხარისხის განვითარების წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, მითითებულია, რომ საანგარიშო პერიოდში სამაგისტრო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო პროგრამის ადამიანურ რესურსებს დაემატა რამდენიმე მოწვეული სპეციალისტი, დაწესებულება განმარტავს: მოწვეული სპეციალისტების დამატება საშუალებას იძლევა უფრო მოქნილად განხორციელდეს სასწავლო გეგმა/სასწავლო პროცესი, სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართული პერსონალის დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში მოხდეს მათი ჩანაცვლება შესაბამისი სპეციალისტით.

- დაწესებულების მიერ 2016 წელს განათლების ხარისხის განვითრების წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული სასწავლო პროცესის შემოწმების პროცესი (ჩატარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, სწავლების კომპეტენციის კვლევის ფარგლებში შემოწმდა: სილაბუსთან სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკის შესაბამისობა, სწავლების მეთოდებისა და თვალსაჩინოებების გამოყენება, სტუდენტთა აქტივობა).
- განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა ანონიმური ანკეტების საშუალებით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა შესაბამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული - პროგრამის მიზანია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით კადრების მომზადება, რომელსაც ექნება სფეროს თანამედროვე თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებზე დაფუძნებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება, ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის კომპეტენტურად წარმართვის უნარი, სწავლებისა და სწავლის პროცესი ორიენტირებულია სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. თუმცა, საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში დაფიქსირებული რიგი ფაქტორები ართულებს პროგრამით წინასწარ განსაზღვრულ შედეგებზე გასვლას: „კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება“ (საგანმანათლებლო პროგრამა). ▪ *პროგრამის ხელმძღვანელთან, მაგისტრებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს გარეშე ნაკლებად სარწმუნოა განისაზღვროს პასუხობს თუ არა პროგრამა ჯანდაცვის ობიექტების, სპორტული ფედერაციების, სპორტული, გამაჯანსაღებელი და ფიტნეს კლუბების მოლოდინებს.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის მიზნები; o უნივერსიტეტის ვებგვერდი;
რეკომენდაციები: - პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის ჩატარება; - აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება, მით უფრო როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები ჩართული არიან სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, არსებობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის შესაძლებლობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მაგისტრების პროექტებისა და ინიციატივების, წახალისება, კვლევით საქმიანობასა და პროექტებში ჩართვის ხელშეწყობა, ამასთანავე, სხვადასხვა გაცვლით პროექტში ან პროგრამაში, საქართველოს ფარგლებს გარეთ კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა, აღნიშნული ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.
- განვითარებაზე ზრუნვის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეების (სპორტის ფედერაციები, აღდგენითი მკურნალობის ცენტრები, საერთშორისო ორგანიზაციები) აქტიური ჩართვის გზით, გაზარდოს პროგრამის მდგრადობა. უცხოელ პარტნიორებთან ერთად განახორციელოს ერთობლივი კვლევები და პროექტები, იზრუნოს პროგრამაში უცხოელი სპეციალისტების ჩართვაზე, რითაც უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანამანათლებლო პროგრამა თანმიმდევრულია, შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით. ცალკეული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი, რეალისტური და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

- პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების გარეშე არ ისახება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის სრული სურათი;
- არ მოგვეპოვება კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ვერ დადგინდა, აქვს თუ არა პროგრამას შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 12 სექტემბერს შემოვიდა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, დანართად წარმოდგენილ იქნა სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი № 10, 27.10.2017); საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი № 10, 27.10.2017).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- საჭიროა სწავლის შედეგების შეფასება ხდებოდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ.
- აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობა;

რჩევები პროგრამის განვითაშრებისთვის

- აკრედიტაციის ჯგუფის შეთავაზებაა, სასწავლო უნივერსიტეტმა სტრატეგიულ მიდგომად დაისახოს სპორტის ფედერაციებთან, აღდგენითი მკურნალობის ცენტრებთან თანამშრომლობა, რომელთა საქმიანობის შინაარსია პოპულაციის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და აღდგენითი მკურნალობა.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		**X**		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას: კერძოდ, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, მხოლოდ სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ. გამოცდა სპეციალობაში, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და სათანადო კომპეტენციის მქონე პირთა შერჩევას. საგანმანათლებლო პროგრამის (სასწავლო კურსის: ინგლისური ენა) მიზანია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლება B2 დონეზე. მაგისტრანტმა, შეძენილი ცოდნა უნდა გამოიყენოს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში: შეისწავლოს დარგობრივი ტერმინოლოგია, შეძლოს დარგობრივი სამეცნიერო ტექსტის წაკითხვა და გაგება, დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის წაკითხვა და გაცნობიერება. ვინაიდან, ინგლისური ენა პროგრამაში ისწავლებოდა 5 კრედიტის მოცულობით პირველ სემესტრში და ეთმობოდა პრაქტიკული მეცადინეობა - 44 სთ, აღნიშნული კურსის ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა B2 დონეზე ენის კომპეტენციის გამომუშავება, მით უფრო, თუ მაგისტრანტი უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლობდა სხვა უცხო ენას! ***შესაბამისად, ექსპერტების მიერ რეკომენდირებულ იქნა: სამაგისტრო პროგრამის აუცილებელ დამატებით წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება ან გამოცდა ინგლისურ ენაში, პასუხად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 12 სექტემბერს შემოვიდა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, დანართად წარმოდგენილ იქნა სამაგისტრო პროგრამა, დამტკიცებული რიგი ცვლილებებით (აკად. საბჭოს ოქმი №9. 11.09.2018), ცვლილებების შედეგად პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე, ხოლო სასწავლო კურსის: ინგლისური ენა მოცულობა გაიზარდა 7 კრედიტამდე, საუდიტორიო მუშაობას დაეთმო - 60 სთ.*** უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ მოკლე აღწერილობითი ნაწილი www.geomedi.edu.ge; 2014 წელს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია: ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ყოფილიყო ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისა და პოტენციური აპლიკანტისათვის, სასწავლო უნივერსიტეტმა გაიზიარა და დაეთანხმა უკანასკნელს, თუმცა პროგრამის სტრუქტურაზე წვდომისათვის დღესაც სასწავლო **უნივერსიტეტის ვებგვერდზე ისევ საჭიროა პაროლის შეყვანა!**

აღნიშნული აფერხებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების გარეშე **ვერ დასტურება, რამდენად გამჭვირვალეა და ობიექტურად ხორციელდება პროგრამაზე ჩარიცხვა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა o ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად:** სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს), პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, ერთი აკადემიური წელი შედგება 42 კვირისგან. სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ

შორის: სასწავლო -15 კვირა; სასესიო -4კვირა; დამატებითი გამოცდებისათვის -2 კვირა).

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს: სტუდენტის სამუშაო დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები ასახულია კრედიტების განაწილების სისტემაში. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. სავალდებულო კურსებია: ფიზიკური მედიცინა; ფიზიკური რეაბილიტაცია; დინამიური ანატომია; სპორტის ბიოქიმია (კუნთების ბიოქიმია); მეცნიერული კვლევის მეთოდები; სპორტული ტრავმატიზმი; ოკუპაციური თერაპია; ტკივილის მართვა; ინვალიდთა კინეზოკორექცია; პრაქტიკა სპეციალობაში; სამაგისტრო ნაშრომი. არჩევითი კურსებია: სპორტის სოციოლოგია; ბიორეგულაციური მედიცინა. განსაზღვრულია საგნების სემესტრული სწავლება, სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები, კრედიტების მოცულობა და შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან, პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია, უზრუნველყოფილია პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **პროგრამის შემადგენელი კურსების/მოდულების სილაბუსები მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:** კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები (რომელიც თავის მხრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს), შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილებით, უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას, გათვალისწინებულია ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სპეციფიკა, უკანასკნელი კურსების სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული შედეგების მიღწევას მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად. *თუმცა, სასწავლო კურსის- **ინგლისური ენა** შინაარსი, კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო საათები (5კრედიტი; საკონტაქტო: 44 სთ) არ იყო ადექვატური ამავე კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან: დარგობრივი სამეცნიერო ტექსტის წაკითხვა და გაგება, დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობიერება, ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობით კომუნიკაციის წარმართვა.* ***აღნიშნულის თაობაზე ექსპერტების მიერ რეკომენდირებულ იქნა ინგლისური ენის მოცულობის გაზრდა, პასუხად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 12 სექტემბერს დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის დანართად წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შედეგად (დამტკ. აკად. საბჭოს ოქმი №9. 11.09.2018), ინგლისური ენის მოცულობა გაიზარდა 7 კრედიტამდე, საუდიტორიო მუშაობას დაეთმო - 60 სთ.*** სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, პასუხობს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; თუმცა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობიდან გამომდინარე, მოითხოვს განახლებას, რამეთუ რიგ შემთხვევებში მითითებულია 1971, 1998 წწ. სახელმძღვანელოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა o სილაბუსები
რეკომენდაციები: - პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და სწავლის შედეგების

ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების, სტუდენტებისათვის თანამედროვე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია: სასწავლო კურსის- ინგლისური ენა სწავლება პროგრამის მეორე სემესტრშიც, შინაარსის ლოგიკური ბმა გაცხადებულ შედეგთან: დარგობრივი სამეცნიერო ტექსტის წაკითხვა და გაგება, დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობიერება, ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობით კომუნიკაციის წარმართვა.

- პროგრამის მუშაობისათვის საჭიროა თანამედროვე სახელმძღვანელოების მოძიება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მაგისტრებთან ინტერვიუს გარეშე არ მოგვეცა საშუალება, ინფორმირებული დასკვნა გაგვეკეთებინა რამდენად აქტიურად არიან ჩართულები მაგისტრები სტუდენტთა კონფერენციებში, კვლევით პროექტებს ან სხვა, კურიკულუმს მიღმა, აქტივობებში. შესაბამისად არ გვაქვს მოწოდებული ინფორმაცია სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას სპეციალობაში, რომლის მიზანია მაგისტრანტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს მენტორს(პროგრამის თანახმად), რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში მაგისტრანტთა უშუალო ზედამხედველობას. ინტერვიუს გარეშე ვერ დგინდება, რამდენად ორგანიზებულად არის დაგეგმილი და განხორციელებული პრაქტიკის ობიექტებზე პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, ითვალისწინებს თუ არა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად უნდა წაახალისოს სტუდენტების ინიციატივები, უნდა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მიერ მაგისტრების ჩართვა კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო პროექტებში, მითუმეტეს, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია არასდროს ყოფილა აქტიური სამეცნიერო კვლევის ობიექტი, შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებობს დაგროვილი საკვლევი მასალა. ამასთანავე, ხელი შეუწყოს მაგისტრებსა და კურსდამთავრებულებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ კონფერენციებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილების გამოყენება კვლევით საქმიანობასა და პროექტებში მაგისტრების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარგობრივი კონფერენციების შესახებ ინფორმირმაციის მიწოდებითა და მონაწილეობის ხელშეწყობით, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, მიღებული აქვს სამეცნიერო გრანტები და არის საერთაშორისო ორგანიზაციების (ფიზიკური რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის სფეროში) წევრი, ასევე გახლავთ უმაღლესი კატეგორიის ტრენერი, ტრენინგ-მოდულების ავტორი და ტრენერი, სპორტის ექსპერტი, საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტთან არსებული საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი, 6 სახელმძღვანელოსა და 65 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

სასურველი იქნება თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი დაეხმარება სტუდენტებს უფრო მეტი წვდომა ჰქონდეთ სხვადასხვა გაცვლით პროექტში ან პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ***ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ყველა სილაბუსში გაწერილია სწავლების მეთოდები, რომლებიც მიმართულია სასწავლო კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა უმეტესი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული მეთოდების ჩამონათვალი ერთგვარია და არ ჩანს საგნების სპეციფიკა, შესაბამისი სწავლების მეთოდების გამოყენების აუცილებლობა და პრაქტიკა.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია:

- **მასალის ვერბალური პრეზენტაცია -** თეორიული მასალის ზეპირი პრეზენტაცია, მსჯელობა კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის სახით.
- **მასალის დემონსტრირება** - ატლასების, მულაჟების, ტაბულების და ა.შ. ჩვენება, ვიზუალური მასალის პრეზენტაცია Power Point -ით, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას.
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - პედაგოგის მიერ კონკრეტული საკითხის დაწვრილებით განხილვა;

- **ბლიც გამოკითხვა** - გავლილი მასალის ფარგლებში შეკითხვების დასმა, რომელიც ხელს უწყობს გავლილი მასალის მიმდინარე მასალასთან კორელაციაში გაცნობიერებას და მისი ანალიზის უნარს.
- **ქვიზი** - შედგენილი კითხვების სახით, რომელიც შეიძლება შესრულდეს როგორც წერითი, ასევე ზეპირი ფორმით.
- **ანალიზი** - ფიზიკური მედიცინის მეთოდებისა და საშუალებების ანალიზი, შეფასება, კლასიფიკაცია.
- **ტესტი** - წერილობითი ნამუშევარი, შედგენილი კონკრეტული თემატიკის საკითხების ან შეკითხვების სახით.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - ლიტერატურის დამუშავება.
- **IT ტექნოლოგიების გამოყენებით დამატებითი მასალის მოძიება და დამუშავება** - ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მოძიება;
- **კონსულტაცია** - პედაგოგთან ინდივიდუალური შეხვედრა გაურკვეველ, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩამოთვლილი სწავლის მეთოდების ერთობლიობამ შეიძლება უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული კადრის მომზადება. თუმცა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების გარეშე ვერ დგინდება, რამდენად გამოიყენება მითითებული ყველა მეთოდი სასწავლო პროცესში და რამდენად რელევანტურია თითოეული მათგანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები

რეკომენდაციები:

- პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აღწერილი სწავლის მეთოდებიდან, რაც საერთოა თითქმის ყველა კურსის სილაბუსის მიხედვით, ჩამონათვალში დარჩეს ის მეთოდები, რომლებსაც ჩართული აკადემიური პერსონალი რეალურად იყენებს სწავლებაში და თვლის რელევანტურად საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტით განსაზღვრულია სტუდენტის სწავლის შეფასების მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას. ასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება ხდება და სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით:რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად; 60 ქულა - შულედური შეფასებები, 40 ქულა – დასკვნითი გამოცდა.
შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით, დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით,

სემესტრული შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. სემესტრული შეფასების კომპონენტები: მასალის ზეპირი პრეზენტაცია; ბლიც გამოკითხვა; ანალიზი; დისკუსია; პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; ქვიზი; დასწრება, აქტიურობა პრაქტიკაზე; პრაქტიკის დღიურის წარმოება. შუალედური გამოცდის ფორმატს წარმოადგენს ტესტი, მასზე განსაზღვრულია 20 ქულა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის დაცვას (ტარდება მე-19 კვირას), უკანასკნელის შეფასების კრიტერიუმები ფასდება მხოლოდ მაქსიმალური შეფასებებით:

- სამაგისტრო ნაშრომი გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად - **5 ქულა;**
- კვლევის აქტუალურობა, მიზანი, პრობლემატიკა -**20 ქულა;**
- კვლევის შედეგები და არგუმენტირებული დასკვნები -**10 ქულა;**
- კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზის და კვლევის უნარი -**20 ქულა;**
- გამოყენებული წყაროები, მათი სინთეზის უნარი და კვლევის ადეკვატური მეთოდები- **15 ქულა;**
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (ნაშრომის წარდგენა, ცოდნისა და კომპეტენციების წარმოჩენა) -**20 ქულა;**
- შეკითხვებზე, შენიშვნებზე გაცემული პასუხები - **10 ქულა.**

- სასწავლო კურსის საწარმოო **პრაქტიკა ანგარიშის ჩაბარების კრიტერიუმები ფასდება ასევე მაქსიმალური ქულებით:**
- მაგისტრანტის მიერ დავალებების შესრულება - 22 ქულა;
- დასმულ კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა - 30 ქულა.

  ყველა ზემოთაღნიშნული შეფასების მეთოდი მრავალფეროვანია, მაგრამ უნიფიცირებულია სილაბუსებში და არ ჩანს რამდენად ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას. ასევე საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში ძნელია განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობის მიღწევის მიზნით პერსონალმა უნდა კარგად გაიაზროს შეფასების მეთოდები, რუბრიკები და შედეგების ანალიზზე დაკვირვებით გაუმჯობესოს შეფასების ფორმები.
- რეკომენდირებულია მაგისტრთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები შეირჩეს საგნის სპეციფიკის მიხედვით, დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები, რათა შეფასების წესი გახდეს გამჭვირვალე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მონიტორინგის ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც **აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია,** თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ები, შესაბამისად, **ვერ დადგინდა თუ რა სახის შრომითი ურთიერთობები აქვს აღნიშნულ პერსონალს უნივერსიტეტთან 2015 წლიდან, მეტიც, შეუძლებელი გახდა აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების მიხედვით.** ამდენად, საჭირო გახდა დაწესებულებისათვის დამატებითი მასალების მოთხოვნა, მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ დამატებით მასალების მოწოდებისა, უკანასკნელი არ აღმოჩნდა საკმარისი აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო მოღვაწეობის დასადასტურებლად და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ურთიერთობების დასაზუსტებლად,

ვინაიდან რიგ შემთხვევებში განმეორებით წარმოდგენილი პერსონალის CV-ები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები ისევ არ იყო განახლებული; ამასთანავე, პერსონალის საქმიანობის დატვირთვის სქემა შეიცავდა ურთიერთგამომრიცხველ ინფორმაციებს, კერძოდ: CV-ებში მითითებული ინფორმაციის თანახმად ცალკეული პირები ერთდროულად სხვადასხვა უნივერსიტეტში იკავებენ აკადემიურ თანამდებობებს, მაშინ როდესაც, პერსონალის საქმიანობის დატვირთვის სქემაში დაფიქსირებული არიან როგორც აფილირებულნი სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედთან“.
(პროგრამის ხელმძღვანელის შემთხვევაში: CV -ში მითითებული ინფორმაციის თანახმად ის არის - 2010 წლიდან „გეომედის“ სრული პროფესორი, 2013 წლიდან საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2012 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის „ჰიპოკრატე“ სრული პროფესორი, პერსონალის დატვირთვის სქემაში მითითებულია, როგორც სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედთან“ აფილირებული პროფესორი, თან არ ახლავს აფილირების შეთანხმების დოკუმენტი, კონტრაქტი გაფორმებულია 2018წ. 7 წლის ვადით)

წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან არ ახლდა სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირთა აფილირების დამადასტურებელი დოკუმენტები, რის გამოც ვერ დადგინდა აღნიშნული შემთხვევების რეალური სურათი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 12 სექტემბერს შემოსულ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხს, დანართად თან ახლავს ამონაწერი შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედი დებულებიდან: მუხლი 14, აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობების შესახებ, აფილირების შეთანხმება 4 პირთან, უკანასკნელი არ მოიცავს გამჭვირვალე ინფორმაციას აფილირების პირობების, ორმხრივი ვალდებულებების შესახებ, შეთანხმებები პირებთან გაფორმებულია თარიღების გარეშე.

სამაგისტრო პროგრამის თანახმად, მაგისტრების მომზადება ხდება კლინიკებში: შპს აკად. ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, შპს სარეაბილიტაციო ცენტრი „რაიდმედი“ და შპს „ლანცეტი“.

- *შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა - ხელშეკრულება გაფორმებულია 1.03.2018 (დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხთან ერთად დამატებით იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულება გაფორმებული 03.10.2016 შპს აკად. ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკასთან ვადით 03.10.2021 წლამდე).*
- *შპს სარეაბილიტაციო ცენტრი „რაიდმედი“ - არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ (წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხთან ერთად).*
- *შპს „ლანცეტი“ - არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.*

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ხელშეკრულებაში ასახული არ არის მაგისტრების რაოდენობა და მიღების ვადები.

დამატებით დოკუმენტაციაში გადმოგზავნილ იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამედიცინო კორპორაცია „ევექსთან“ (გაფორმებულია 17 აპრილს, 2018წ), სადაც სამაგისტრო პროგრამის თანახმად არ მიმდინარეობს არც ერთი სასწავლო კურსის სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV-ები
- ხელშეკრულებები
- პერსონალის დატვირთვის სქემა

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- აუცილებელია აკადემიური პერსონალის დოკუმენტაციის განახლება და სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის თანხვედრაში მოყვანა.
- გაურკვეველია პერსონალის ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების გაფორმების ვადები (2015წ. 2018წ.) და ხანგრძლივობა (5 წლის ვადით, 6 წლის ვადით, 7 წლის ვადით).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაწესებულების მიერ აფილირების წესის, აფილირების ორმხრივი პირობებისა და ვალდებულებების განსაზღვრა, შემუშავება და დამტკიცება.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ყოველწლიურად ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ანალიზები, შეფასებულია აკადემიური პერსონალის საქმიანობა სტუდენტების გამოკითხვით. დოკუმენტაციით ჩანს, რომ შეფასება მოიცავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას, სწავლების კომპეტენციას, სილაბუსთან სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკის შესაბამისობას, სწავლების მეთოდებისა და თვალსაჩინოებების გამოყენებას, სტუდენტთა აქტივობაში ჩართულობის უნარს. მიღებული შედეგები გაანალიზებულია, თუმცა არ არის გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები. თითქმის ყველა პერსონალი შეფასებულია 100% დადებითი შედეგით, რაც ეჭვს ქვეშ აყენებს შეფასების ვალიდურობას, არ არის ინფორმაცია შედეგების გაანალიზების შემდეგ მიღებული ზომების შესახებ, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პედაგოგების პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების, მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების მხარდაჭერისა და პერსონალის გადამზადების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: o უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვების დროს საჭიროა რესპოდენტთა რელევანტური რაოდენობის ჩართულობა, მრავალფეროვანი შინაარსის კითხვარების გამოყენება შედეგების ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით; o რეკომენდირებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით. o პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით საჭიროა დამსაქმებლების გამოკითხვა შრომის ბაზრის მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი"

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

"ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია"
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე ფხაკაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ია ფანცულაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა